საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში

პოლიტიკური მეცნიერება წარმოადგენს აკადემიურ და კვლევით დისციპლინას, რომელსაც საქმე აქვს პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკასთან და რომელიც აღწერს და აანალიზებს პოლიტიკურ სისტემებსა და პოლიტიკურ ქცევას. პოლიტიკური მეცნიერების კვლევის სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს: პოლიტიკურ თეორიასა და ფილოსოფიას, შედარებით პოლიტიკას, ნაციონალურ სისტემებსა და კროს-ნაციონალურ პოლიტიკურ ანალიზს, პოლიტიკურ განვითარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, საჯარო ადმინისტრირებას, ადმინისტრაციულ ქცევას, საჯარო პოლიტიკას და ა.შ. რაც შეეხება პოლიტიკური მეცნიერების თანამედროვე მიმართულებებსა და სუბ-დისციპლინებს, როგორც წესი, გამოიყოფა:

- შედარებითი პოლიტიკა;
- ლოკალური სწავლებები;
- პოლიტიკური თეორია და ფილოსოფია;
- საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება;
- პოლიტიკური ქცევა და ფსიქოლოგია;
- ფორმალური თეორია და მეთოდოლოგია;
- პოლიტიკური ეკონომია;

პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში იყვენენ ჩართული ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტი) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდატებს. გასათვალისიწნებელია ისიც, რომ პროგრამის შედგენისას დეპარტამენტის წევრები ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური მეცნიერების ეროვნული ასოციაციების მიერ ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციებით, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით პოლიტიკური მეცნიერების სწავლებაში უმაღლეს სასწავლებლების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

პროგრამის მიზანი და შედეგები: პოლიტიკური მეცნიერების სწავლების მიზნები ბაკალავრიატში მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი თეორიული მომზადება პოლიტიკურ მეცნიერებაში; ასწავლოს კრიტიკული აზროვნება; უზრუნველყოს პროფესიული კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და ხერხებით; ასწავლოს შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტები. პოლიტიკური მეცნიერების ბაკალავრი: ფლობს პოლიტიკური მეცნიერების ცნებით-კატეგორიულ აპარატს და მეთოდოლოგიას, იცნობს პოლიტიკური მეცნიერების ძირითად დარგებს, პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების ინსტრუმენტებსა და ჩვევებს; ფლობს ემპირიული პოლიტიკური კვლევების მეთოდიკას და ტექნიკას, შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. ბაკალავრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით. სწავლება ბაკალავრიანტის დონეზე უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალისტების მომზადებას პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

დასაქმების სფერო: საბაკალავრო განათლების მიღების შედეგად ბაკალავრს პოლიტიკურ მეცნიერებაში შეუძლია ჩაერთოს დარგის სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის გარეშე. მას შეეძლება იმუშაოს პოლიტიკურ ექსპერტად, ანალიტიკოსად მედიის სფეროში, მას ექნება აუცილებელი ცოდნა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებში ან პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატში მუშაობისთვის.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა: პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ისეა აგებული, რომ სრულ წარმოდგენას უქმნის სტუდენტებს როგორც ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების, ისე ცალკეული სუბ-დისციპლინების შესახებ, ასევე უზრუნველყოფს საბაკალავრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული კვლევითი უნარ-ჩვევებით. პოლიტიკური მენციერების საბაკალავრო კურიკულუმში შემოთავაზებული თითოეული სალექციო კურსი 5 კრედიტიანია.

პოლიტიკური მეცნიერების სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატის დონეზე შედეგება:

- პოლიტიკური მეცნიერების შესავალი კურსისგან(5 კრედიტი), რომელიც სავალდებულო საფაკულტეტო საბაზისო სწავლების შესავალი კურსების ჩამონათვალშია მოცემული;
- ძირითადი სავალდებულო ბლოკისგან *პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები*, რომელიც 30 კრედიტის დაგროვებას გულისხმობს შემდეგ 6 საგანში: შედარებითი პოლიტიკა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, საჯარო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა , პოლიტმოძღვრებათა ისტორია, მედია და პოლიტიკა;
- ექვსი სპეციალიზირებული ბლოკისგან: ბლოკი *I პოლიტიკური თეორია*; ბლოკი II *შედარებითი პოლიტიკა*;

ბლოკი III *<u>რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა;</u>* ბლოკი IV *<u>საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება</u>*; ბლოკი V *<u>პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები</u>*; ბლოკი VI *<u>მომზადება კვლევისათვის</u>*. თითოეული ბლოკი წარმოადგენს არჩევითი კურსების ჩამონათვალს დაჯგუფებულს სუბ-დისციპლინების მიხედვით. სწორედ ამ ბლოკების ფარგლებში შემოთავაზებული არჩევითი კურსების საფუძვლზე აგროვებს სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებეულ კრედიტებს.

- საბაკალავრო შრომის-დისერტაციისგან (10 კრედიტი)

კრედიტების რაოდენობა პოლიტიკური მეცნიერებისათვის:

(Major) 120 (მათ შორის 5 კრედიტი საფაკულტეტო საბაზისო სწავლების შესავალი კურსისთვის პოლიტიკურ მეცნიერებაში და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისათვის)
(Minor): 60 (მათ შორის 5 კრედიტი საფაკულტეტო საბაზისო სწავლების შესავალი კურსისთვის პოლიტიკურ მეცნიერებაში)

პოლიტიკური მეცნიერების კურიკულუმი
პოლიტიკური მეცნიერება, როგორც ძირითადი სპეციალობა _ მეიჯორი პოლიტიკურ მეცნიერებაში (120):
სტუდენტი, რომელიც გადაწყვეტს პოლიტიკური მეცნიერების, როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევას, ვალდებულია შეასრულოს პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის შემდეგი მოთხოვნები:
შესავალი კურსის გავლა პოლიტიკურ მეცნიერებაში (5 კრედიტი) +
პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების ბლოკის 6 სავალდებულო საგნის გავლა (30 კრედიტი) +
ათ-ათი კრედიტის დაგროვება 6 სპეციალიზირებული ბლოკიდან (60 კრედიტი) + (თითოეული ბლოკის ფარგლებში წარმოდგენილი არჩევითი კურსებიდან სტუდენტებისათვის სავალდებულოა ათ-ათი კრედიტის დაგროვება, შესაბამისად, ყოველ სპეციალიზირებულ ბლოკში 2 კურსის გავლა; გასათვალისიწნებელია, რომ ბლოკ VI *<u>მომზადება კვლევისათვის</u>* შემოთავაზებული ორივე კურსის გავლა სავალდებულოა.
15 კრედიტის დაგროვება პოლიტიკური მეცნიერების კურიკულუმის მესამე დონის ნებისმიერი საგნის საფუძველზე, რომელიც სპეციალიზირებული ბლოკების ფარგლებშია შემოთავაზებული და სტუდენტს არ ჰქონია გავლილი (15)+საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (10)

ფორმულა პოლიტიკურ მეცნიერებაში როგორც ძირითად სპეციალობაში 120 კრედიტის დასაგროვებლად: შესავალი კურსი (5) + პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების ბლოკის 6 სავალდებულო საგნის გავლა (6x5=30) + 6 სპეციალიზირებულ ბლოკში 2 საგნის აღება და თითოეულში 10 კრედიტის დაგროვება (6x10 = 60 კრედიტი) + 3 კურსის გავლა და 15 კრედიტის დაგროვება სპეციალიზირებულ ბლოკების ფარგლებში შეოთავაზებული ჯერ კიდევ აუთვისებელი საგნების საფუძველზე (3x5=15) + საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (10 კრედიტი).

პოლიტიკური მეცნიერება, როგორც დამატებითი სპეციალობა – მაინორი პოლიტიკურ მეცნიერებაში (60):
სტუდენტი, რომელიც გადაწყვეტს პოლიტიკური მეცნიერების, როგორც დამატებითი სპეციალობის არჩევას ვალდებულია შეასრულოს პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის შემდეგი მოთხოვნები:
შესავალი კურსის გავლა პოლიტიკურ მეცნიერებაში (5) +
პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების ბლოკის 6 სავალდებულო საგნის გავლა (30) +
ნებისმიერი სპეციალიზირებული ბლოკების ფარგლებში წარმოდგენილი საგნების საფუძველზე 25 კრედიტის დაგროვება (25 კრედიტი)

ფორმულა პოლიტიკურ მეცნიერებაში როგორც დამატებით სპეციალობაში 60 კრედიტის დასაგროვებლად: შესავალი კურსი (5) + პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების ბლოკის 6 სავალდებულო საგნის გავლა (30) + სპეციალიზირებულ ბლოკების ფარგლებში შეოთავაზებული არჩევითი საგნების საფუძველზე 25 კრედიტის დაგროვება (5 x5 =25).

პოლიტიკური მეცნიერების შესავალ კურსთან ერთად პოლიტიკური მეცნიერების საფუძველების ბლოკის 6 საგნის გავლა, როგორც ხედავთ, სავალდებულოა როგორც ძირითადი, ისე მეორადი სპეციალობის სტუდენტებისთვის (სწორედ ამიტომ, პოლიტიკური მეცნიერების დეპარტმანეტი ამ საგნებს გთავაზობთ ყოველსემესტრულად). შესაბამისად, 35 კრედიტის დაგროვების პრინციპი ერთნაირია ორივე პროგრამისთვის. განსხვავება ძირითად და

მეორად სპეციალობის სტუდენტებს შორის მდგომარეობს სპეციალიზირებული ბლოკების ფარგლებში შემოთავაზებული არჩევითი საგნების განსხვავებული პრინციპით დაგროვებასა და ზოგადად დატვირთვაში (მაინორის სტუდენტისთვის III დონის არჩევითი კურსების საფუძველზე – 25 კრედიტის დაგროვება; მეიჯორისათვის – 75 კრედიტის დაგროვებაა): პოლიტიკური მეცნიერების როგორც მეორადი სპეციალობის სტუდენტს ეძლევა სპეციალიზირებული ბლოკების ფარგლებში შემოთავაზებული საგნებიდან თავისი სურვილისამებრ ნებისმიერი 5 საგნის არჩევის შესაძლებლობა და ამ გზით მაინორისათვის საჭირო მოთხოვნების შესრულება. პოლიტიკის მეცნიერების როგორც ძირითადი სპეციალობის არჩევის შემთხვევაში კი სტუდენტი ვალდებულია შემოთავაზებული 6 სპეციალიზებული ბლოკიდან თითოეულში გავლილი ჰქონდეს 2 საგანი (10 კრედიტი), ხოლო დარჩენილი 15 კრედიტი უკვე თავისი სურვილის მიხედვით დააგროვოს ამ ბლოკების ფარგლებში შემოთავაზებული ჯერ კიდევ აუთვისებელი არჩევითი საგნების საფუძველზე. ეს საშუალებას აძლევს მეოჯორის პროგრამის სტუდენტს უფრო მეტად დახელოვნდეს რომელიმე ერთ სასურველ სპეციალობაში. თუმცა, სტუდენტი არჩევანში არაა შეზღუდული და ეს 15 კრედიტი შეუძლია სხვადასხვა სპეციალური ბლოკების ფარგლებში შემოთავაზებული ნებისმიერი 3 ჯერ კიდევ აუთვისებელი კურსის საფუძველზე დააგროვოს.

საბაკალავრო კურიკულუმის სტრუქტურა

შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	მ.მაცაბერიძე, მ.მუსხელიშვილი თ.კიკნაძე გ.ჟორჟოლიანი ა.კუხიანიძე ნ.მაჭარაშვილი		I	X	X	5
მოდული/კურსი	ლექტორი	კურსის სტატუსი	სწავლების დონე	საშემოდგომო სემესტრი	საგაზაფხულო სემესტრი	კრედიტი
ძირითადი ბლოკი: ***<u>პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები</u>***		**სავალდებულო**	**II**			**45**
შედარებითი პოლიტიკა	თ.კიკნაძე, ვ.დოლიძე, გ.ჟორჟოლიანი	სავალდებულო	II	X	X	5
საქართველოს პოლიტიკური სისტემა	მ.მაცაბერიძე, გ.აბესაძე	სავალდებულო	II	X	X	5
საჯარო პოლიტიკა	ნ.მაჭარაშვილი, ვ.თურმანიძე	სავალდებულო	II	X	X	5
მსოფლიო პოლიტიკა	კ.კაკაჩია	სავალდებულო	II	X	X	5
პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	ს.დუნდუა	სავალდებულო	II	X	X	5
მედია და პოლიტიკა	მ.მუსხელიშვილი	სავალდებულო	II	X	X	5
სპეციალიზირებული ბლოკი I ***<u>პოლიტიკური თეორია</u>***		**სავალდებულო/ არჩევითი**	**III**			**10**
დემოკრატიის თეორია	გ.ჟორჟოლიანი, ზ.აბაშიძე	არჩევითი	III		X	5
პოლიტიკური იდეოლოგიები	ს.დუნდუა	არჩევითი	III	X		5
პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	ზ.აბაშიძე	არჩევითი	III		X	5
ქართული პოლიტიკური აზრი	მ.მაცაბერიძე	არჩევითი	III		X	5
პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და	მ.მაცაბერიძე	არჩევითი	III	X		5

მიმართულებები (კლასიკური ტექსტები)						
სამოქალაქო საზოგადოების თეორია: შედარებითი ანალიზი	მ.მუსხელიშვილი	არჩევითი	III		X	5
პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები	ნ.მაჭარაშვილი, გ.აბესაძე, ა.ტუკვაძე	არჩევითი		X		
ნაციონალიზმი როგორც პოლიტიკური იდეოლოგია	ზ.აბაშიძე	არჩევითი	III		X	5
სპეციალიზირებული ბლოკი II *შედარებითი პოლიტიკა*		**სავალდებულო/ არჩევითი**	III			10
დემოკრატიზაცია და ტრანზიცია	გ.ჟორჟოლიანი, ზ.აბაშიძე	არჩევითი	III		X	5
დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	თ.კიკნაძე, ზ.აბაშიძე	არჩევითი	III		X	5
სახელმწიფო და საზოგადოება ლათინურ ამერიკაში	თ.კიკნაძე, ზ.აბაშიძე	არჩევითი	III		X	5
შედარებითი საჯარო პოლიტიკა	ნ.მაჭარაშვილი	არჩევითი	III		X	5
საქართველოსა და კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	მ.მაცაბერიძე, ვ.დოლიძე	არჩევითი	III		X	5
სპეციალიზირებული ბლოკი III *რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა*		**სავალდებულო/ არჩევითი**	III			10
ევროპის პოლიტიკა	ს.კაპანაძე, კ.კაკაჩია	არჩევითი	III		X	5
საერთაშორისო ორგანიზაციები	კ.კაკაჩია	არჩევითი	III	X		5
გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა	კ.კაკაჩია	არჩევითი	III		X	5
შეერთებული შტატების პოლიტიკა	თ.კიკნაძე, კ.კაკაჩია	არჩევითი	III		X	5
რუსეთის პოლიტიკა	მ.მაცაბერიძე	არჩევითი	III		X	5
სპეციალიზირებული ბლოკი I V *საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება*		**სავალდებულო/ არჩევითი**	III			10
ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	კ.თურმანიძე, ზ.სალუქვაძე	არჩევითი	III	X		5
საჯარო ადმინისტრირების თეორიები	ნ.მაჭარაშვილი	არჩევითი	III	X		5
საჯარო პოლიტიკის ანალიზი	ნ.მაჭარაშვილი, კ.თურმანიძე	არჩევითი	III	X		5
სამთავრობოთაშორისო ურთიერთობები	ნ.მაჭარაშვილი	არჩევითი			X	5
საჯარო პოლიტიკის კეთება საქართველოში	ნ.მაჭარაშვილი, კ.თურმანიძე	არჩევითი	III		X	5
სპეციალიზირებული ბლოკი V *პოლიტიკური კულტურა და კომუნიკაციები*		**სავალდებულო/ არჩევითი**	III			10
არჩევნები და საზოგადოება	მ.მაცაბერიძე, ვ.დოლიძე	არჩევითი	III	X		5

პოლიტიკური კულტურა	გ.აბესაძე, ა.ტუკვაძე	არჩევითი	III	X		5
პოლიტიკური კომუნიკაციები	მ.მაცაბერიძე	არჩევითი	III		X	5
გენდერი და პოლიტიკა	თ.კიკნაძე	არჩევითი	III	X		5
პოლიტიკური მოძრაობები და იდეოლოგიები საქართველოში	მ.მაცაბერიძე	არჩევითი	III		X	5
სპეციალიზირებული ბლოკი VI ***<u>მომზადება კვლევისათვის</u>***		**სავალდებულო**				**10**
პოლიტიკური კვლევის მეთოდები	ა.კუხიანიძე, კ.თურმანიძე	სავალდებულო	II	X		5
პოლიტიკური კვლევის პრაქტიკუმი - ემპირიული კვლევის მეთოდები	ა.კუხიანიძე, კ.თურმანიძე, ნ.მაჭარაშვილი	სავალდებულო	III		X	5
საბაკალავრო შრომა		**სავალდებულო**				**10**
სულ						**120**

საშემოდგომო სემესტრი (ლექტორები)

1. **პოლიტიკური მეცნიერების შესავალი - მ.მაცაბერიძე, მ.მუსხელიშვილი, გ.ჟორჟოლიანი, ა.კუხიანიძე, თ.კიკნაძე**
2. **შედარებითი პოლიტიკა - თ.კიკნაძე, ვ.დოლიძე, გ.ჟორჟოლიანი**
3. **საქართველოს პოლიტიკური სისტემა - გ.აბესაძე**
4. **საჯარო პოლიტიკა - ნ.მაჭარაშვილი**
5. **მსოფლიო პოლიტიკა - კ.კაკაჩია**
6. **პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია - ს.დუნდუა**
7. **მედია და პოლიტიკა - მ.მუსხელიშვილი**
8. **პოლიტიკური იდეოლოგიები - ს.დუნდუა**
9. **პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები (კლასიკური ტექსტები) - მ.მაცაბერიძე**
10. **პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები - გ.აბესაძე, ა.ტუკვაძე**
11. **საერთაშორისო ორგანიზაციები - კ.კაკაჩია**
12. **ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა - კ.თურმანიძე, ხ.სალუქვაძე**
13. **საჯარო ადმინისტრირების თეორიები - ნ.მაჭარაშვილი**
14. **საჯარო პოლიტიკის ანალიზი - ნ.მაჭარაშვილი**
15. **არჩევნები და საზოგადოება - ვ.დოლიძე**
16. **პოლიტიკური კულტურა - გ.აბესაძე**
17. **გენდერი და პოლიტიკა - თ.კიკნაძე**
18. **პოლიტიკური კვლევის მეთოდები - ა.კუხიანიძე, კ.თურმანიძე**